

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე

ვანის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ვანის მუნიციპალიტეტი მდებარეობს იმერეთის დაბლობსა და მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე. მისი ტერიტორია 56 200ჰა-ია, აქედან 19 258ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებს უჭირავს, მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთავორიანია. მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ბაღდათის, სამტრედიის, წყალტუბოს, ადიგენისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტში ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია. აქ თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული იცის. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13,9°C, წლის ყველაზე ცივი თვის, იანვრის, ტემპერატურა 4,1°C-ია, ყველაზე თბილის, ივლისის, კი 23,4°C. ადმინისტრაციულ ერთეულში ნალექების საშუალო რაოდენობაა 1380 მმ წელიწადში. უხვი ნალექი მოდის შემოდგომასა და ზამთარში..

ჩრდილოეთით მუნიციპალიტეტის საზღვარს გასდევს მდინარე რიონი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: სულორი, ყუმური, წაბლარისწყალი და სხვები. მდინარეებს სათავეები მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე აქვთ, ზღვის დონიდან 1500 მ. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს თერმული წყლების საბადოები.

2012 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 33 800 ადამიანს შეადგენს. ადმინისტრაციულ ერთეულში 42 დასახლებაა, აქედან ერთი ქალაქია, სადაც დასახლებულია 4 400 კაცი, მთელი მოსახლეობის 13%, ხოლო სოფლად ცხოვრობს 29 400 (87%) კაცი. საშუალოდ ერთ სოფელში 717 ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობის სიმჭიდროვეა დაახლოებით 60 კაცი/კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67კაცი/კმ²) თითქმის უტოლდება.

მოსახლეობის შემოსავლის 4 ძირითადი წყაროა: სოფლის მეურნეობა, სოციალური პაკეტი, უცხოეთიდან გზავნილები და ვაჭრობა.

ვანის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტმა 7 574 500 ლარი შეადგინა. ადრეულ წლებში მუნიციპალიტეტის შემოსავლებს უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სამუშაო ჯგუფის წევრების ცნობით, დღეისათვის შემოსავლების ძირითადი სექტორები შეიცვალა, საწარმოო პოტენციალი პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს და მუნიციპალიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა ტრანსფერები, მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი შეადგენს 1 077 ლარს. მუნიციპალიტეტს ეკონომიკური განვითარების გეგმა აქვს, რომლის პრიორიტეტებად სახელდება სოფლის მეურნეობა და ტურიზმი, შეხვედრის მონაწილეები თვლიან, რომ სატყეო სექტორი შესაძლოა გახდეს ეკონომიკური განვითარების საფუძველი, თუმცა ეს რომელიმე სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში ასახული არ არის.

2. ბუნებრივი საფრთხეები

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, გავრცელებული ბუნებრივი საფრთხეებიდან ვანის მუნიციპალიტეტისათვის სახასიათოა: ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, მდინარის ნაპირების ეროზია და გვაღვა. მათივე ინფორმაციით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, გაძლიერებული და გახშირებულია ძლიერი ქარი, მდინარეების ნაპირების წარეცხვა და გვაღვა. თუმცა, ეს ინფორმაცია არ ემყარება მეტეოროლოგიურ-ჰიდროლოგიურ დაკვირვებებს და ობიექტურ სტატისტიკას, რადგან ასეთი სადგურები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის და არც მუნიციპალიტეტის მიერ იწარმოება რაიმე სახის სტატისტიკა.

მუნიციპალიტეტი არ ფლობს არავითარ ინფორმაციას საფრთხის ზონაში მოხვედრილი ტერიტორიების ფართობების, მოსახლეობის რაოდენობის და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის შესახებ, შესაბამისად არ აქვთ მონაცემები მიყენებული ზიანისა და ანაზღაურებული ზარალის შესახებ.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა. არსებობს მხოლოდ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმა, რომელიც მოიცავს ხანძარს, წყალდიდობებსა და მეწყერებს. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას დახმარების გაწევა საგანგებო სიტუაციების დროს არ შეუძლია, მათივე ცნობით, დახმარების მიღება შესაძლებელია რეგიონიდან. მუნიციპალიტეტისათვის შემუშავებული არ არის მიწათსარგებლობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სივრცითი გეგმები.

სამუშაო ჯგუფის მონაცემებით, ბუნებრივი საფრთხეების შედეგების აღმოსაფხვრელად განხორციელებული პროექტებიდან სახელდება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხიდების აღდგენა და ნაპირსამაგრი გაბიონებისა და ჯებირების მოწყობა.

3. სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება

მიწის რესურსი

ვანის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დასაქმების ძირითადი სფეროა სოფლის მეურნეობა. 2004 წლის მასალების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს 19 258 ჰა-ს, რაც საერთო ფართობის მხოლოდ 34%-ს შეადგენს. აქედან სახნავ-სათესს უჭირავს 5 632 ჰა (ს/ს/ სავარგულების 29%), ხეხილის ბაღები – 4 413 ჰა, (27%) სათიბ-სადოვარს კი 9 213 ჰა (48%).

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ინფორმაციით, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა აქვთ ინფორმაცია რა ფართობით. შემცირების მიზეზებიდან მხოლოდ მდინარის ნაპირების წარეცხვას ასახელებენ, მაგრამ მონაცემები არც ამ შემთხვევაში აქვთ. მუნიციპალიტეტს არ აქვს ინფორმაცია ს/ს მიწების დეგრადაციის შესახებ.

მემცენარეობა

ვანის მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესს 5 632 ჰა უკავია, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწების 29%-ია. მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული კულტურებიდან გავრცელებულია: სიმინდი, ბაღჩეული, პარკოსნები და ვენახი. სიმინდის მოსავლიანობა შეადგენს 2,5 ტ/ჰა, ვენახის 3,5 ტ/ჰა-ზეა, ბაღჩეულის მოსავლიანობაა 15 ტ/ჰა, ხოლო პარკოსნების 1,5 ტ/ჰა. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მოსავლიანობა უკანასკნელ წლებში შემცირდა, მაგრამ რამდენით, მონაცემები არ გააჩნიათ. მოსავლიანობის შემცირების მიზეზად სახელდება რწყვის ნაკლებობა, კულტურების ადგილმონაცვლეობის უგულვებელყოფა და დაბალპროდუქტიული სათესლე მასალა, მავნებლებთან, სარეველებთან და დაავადებებთან ბრძოლის არაეფექტური გზები; ამასთან მოსავლიანობა უამინდობის გამოც შემცირდა, რადგან უკანასკნელ წლებში მომძლავრებული იყო გვალვა და წყალდიდობა, მუნიციპალიტეტში მიიჩნევენ, რომ ვეგეტაციის პერიოდი უკანასკნელ დეკადაში შემცირებულია, რასაც პრაქტიკული გამოცდილებით ადასტურებენ.

მუნიციპალიტეტში თვლიან, რომ 3 000 ჰა საჭიროებს მორწყვას, თუმცა საირიგაციო სისტემა არ არსებობს. სამუშაო ჯგუფი აღნიშნავს, რომ დაახლოებით ამდენივე ტერიტორიის ნაწილი საჭიროებს დრენაჟს, მათივე ცნობით, სადრენაჟე სისტემები არსებობს, თუმცა მისი დაახლოებით 60% არ ფუნქციონირებს, რადგან განუწმენდაობის გამო გამოსულია მწყობრიდან.

მეცხოველეობა

ვანის მუნიციპალიტეტში სათიბ-საძოვრებს 9 213 ჰა(48%) უკავია. სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, ადმინისტრაციულ ერთეულში მეცხოველეობა ფართოდაა გავრცელებული, თუმცა მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა უკანასკნელ წლებში შემცირდა. 2012 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში დაახლოებით 21 000 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, რომელთა რაოდენობაც შემცირდა 4 000 სულამდე. ამასთან, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით, ზაფხულის საძოვრებზე 1 000–მდე მსხვილფეხა პირუტყვი შემოყავთ ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებიდან.

ვანის მუნიციპალიტეტში ცხვარი პრაქტიკულად არ ჰყავთ, მაგრამ აღრიცხულია 2 000–მდე სული თხა, რომლის რაოდენობაც შემცირებულია დაახლოებით 20%-ით.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მესაქონლეები განიცდიან სათიბ-საძოვრების დეფიციტს, მიზეზად ჭარბი ძოვება და გვალვა სახელდება. ამასთან, იმასაც აღნიშნავენ, რომ მოსახლეობას საქონელი ვეღარ მიჰყავს საზაფხულო საძოვრებზე. მსხვილფეხა პირუტყვის წველადობა და ხორცპროდუქტიულობა 20–20%-ით არის შემცირებული. პროდუქტიულობის შემცირების მიზეზად სახელდება საკვების ნაკლებობა და არასაკმარისი ვეტერინალური მომსახურება. თვლიან, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გაიზარდა საქონლის დანაკარგიც ვეტერინალური მომსახურების ნაკლებობისა და მტაცებლების მომრავლების გამო. ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოყვანილი მსხვილფეხა პირუტყვზე გადაანგარიშებით , ერთ სულ მსხვილფეხა პირუტყვზე მხოლოდ 0.4 ჰა სათიბ-საძოვარი მოდის, რაც საკმაოდ მცირე მაჩვენებელია, მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის სათიბ-საძოვრების მოვლა-შენარჩუნებისათვის არავითარ ზომებს არ მიმართავენ, მათ შორის არც ნაკვეთმონაცვლეობით ძოვებას, ამასთან საძოვრების ნორმები შესწავლილი არ არის.

პროექტები და სერვისები

წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში არ არსებობდა სამსახური, რომელიც მოახდენდა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგსა და აღრიცხვას. მუნიციპალიტეტში 2012 წლის მარტში ადგილობრივ გამგეობასთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, რომელიც ვალდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფოსა თუ არასამთავრობოების მიერ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ პროგრამებს, უზრუნველყოს ფერმერები საჭირო ინფორმაციით და ტექნიკით,

განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო საკითხების მონიტორინგი და შეაგროვოს შესაბამისი ინფორმაცია, და სხვა. ახლადშექმნილი სამსახური ჯერ-ჯერობით სრულყოფის პროცესშია.

მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამებიდან, სამუშაო ჯგუფის მიერ, სახელდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სადრენაჟე სისტემების მშენებლობა, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კი მაღალპროდუქტიული კულტურების შემოტანა. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ორივე ხელისუფლების მიერ ერთობლივად განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო და სამომსახურებო ცენტრების გახსნა.

4. ტყის რესურსები

ვანის მუნიციპალიტეტში არსებობს სამრეწველო სუბალპური და ჭალისპირა ტყეები, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაა და მის მართვას ახორციელებს „ტყისა და ველური ბუნების მართვის დეპარტამენტი“, ამიტომ ადგილობრივ მმართველობას არ აქვს ინფორმაცია ტყეების კატეგორიებისა და ფართობების, ჭრების სახეობებისა და მოცულობების შესახებ.

სამუშაო ჯგუფის აღნიშვნით, მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ტყის ჭრებს, თუმცა თვლიან, რომ ეს ტენდენცია შემცირებულია მასზე კონტროლის გაზრდისა და მუნიციპალიტეტის გაზიფიკაციის შედეგად. თვლიან, რომ განაკაფებში ადგილი აქვს მეწყრული პროცესების გამოვლენას.

ისტორიულად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა ქარსაცავი ზოლები, რომელთა რაოდენობა 1990–იანი წლების შემდგომ მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა ქარსაფარი ზოლების აღდგენა-გაშენების მიზნით მუშაობა არ მიმდინარეობს.

გამოკითხულთა აზრით, ტყეებში ყოველწლიურად საშუალოდ 1-2 მცირე სიძლიერის ხანძარი ფიქსირდება, მაგრამ ხანძრის შედეგად დაზიანებული ფართობების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

მუნიციპალიტეტის თვითმართველობა ტყის აღდგენა-გაშენების პროცესში მონაწილეობას არ ღებულობს, შესაბამისად არ აქვთ ინფორმაცია ტყის აღდგენა-გაშენების პროექტებთან დაკავშირებით.

5. წყლის რესურსები

შეხვედრის მონაწილეთა აზრით, ვანის მუნიციპალიტეტს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების უხვი რესურსი გააჩნია, თუმცა შეფასებული მარაგების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. ჩრდილოეთით მუნიციპალიტეტის საზღვარს გასდევს მდინარე რიონი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: სულორი, ყუმური, წაბლარისწყალი და სხვები.

ადმინისტრაციულ ერთეულში არ არსებობს ჰიდროლოგიური სადგური, შესაბამისად წყლების მონიტორინგი არ ხდება. თუმცა, გამოკითხული სპეციალისტები თვლიან, რომ უკანასკნელი 10–20 წლის განმავლობაში შემჩნეულია ჰიდროლოგიური ცვლილებები, კერძოდ, შემცირდა მდინარეების წლიური ხარჯი და გაიზარდა ხარჯი წყალდიდობის დროს. მუნიციპალიტეტში არც მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი ტარდება, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შეიცვალა მიწისქვეშა წყლის დონე, კერძოდ დაშრა წყაროები, მიზეზად კი გვალვას და ტყეების გაჩეხვას ასახელებენ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზედაპირული წყლები პრაქტიკულად გამოუყენებელია, რადგან მათი გამოყენება ხდებოდა ინდუსტრიული წყალმომარაგებისათვის. მოსახლეობის წყალმომარაგება ძირითადად მიწისქვეშა წყლებზეა დაფუძნებული. სამუშაო ჯგუფის მონაცემებით, სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარდა მიწისქვეშა წყლების (ჭების) გამოკვლევა და დააფიქსირა ბაქტერიოლოგიური დაბინძურების შემთხვევები. მიზეზად კი სანიტარული ზონების დაუცველობა დასახელდა.

მუნიციპალიტეტის გამგეობას არა აქვს ინფორმაცია გამოყენებული წყლების რაოდენობის შესახებ. მათი ინფორმაციით, წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა აქვს მხოლოდ ქალაქ ვანს. სისტემების საერთო მდგომარეობა ცუდია. გამრიცხველიანება ჩატარებულია მხოლოდ ვანში. ქალაქს საკანალიზაციო კოლექტორები არა აქვს.

მუნიციპალიტეტში არსებობს 10 ჰა ჭარბტენიანი ტერიტორია, რომლის დაშრობის გეგმა არ არსებობს.

მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების საკითხებზე პასუხისმგებელია ცენტრალიზებული სამსახური „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

6. მდინარეთა ნაპირების დინამიკა

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის მდინარეთა კალაპოტებიდან ხდება ინერტული მასალის მოპოვება, თუმცა მათი რაოდენობის შესახებ მონაცემები არ გააჩნიათ,

მუნიციპალიტეტში არ არსებობს ორგანო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მდინარიდან ინერტული მასალების მოპოვებას და საინჟინრო ნაგებობების მდგომარეობას.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახური მონიტორინგს უწევს მდინარის ნაპირის მდგომარეობას. მათი ინფორმაციით, ხდება მდინარის ნაპირების ეროზია, კალაპოტების დახრამვა, ინერტული მასალების დაგროვება და ჭალისპირა ტყეების დეგრადაცია. ამ მხრივ რთული მდგომარეობაა მდინარე რიონის ჭალებში მდინარე ყუმურის ქვედა წელში და მდინარე სულორზე. სამუშაო ჯგუფი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საზღვრებიდან 5 კმ-იან რადიუსში არის ვარციხის წყალსაცავი, რომლის გავლენითაც, ხდება მდინარე რიონზე მიმდინარე პროცესები.

ნაპირებისა და კალაპოტის ეროზიის შედეგად დაფიქსირებულია ინფრასტრუქტურის დაზიანებაც. კერძოდ, მდ. სულორზე ვანში, მდ. ყუმურზე, მდ. ჭიშურაზე და მდინარე ფერეთაზე ხიდები დაზიანდა.

სამუშაო ჯგუფის მიერ, ჩამოთვლილი მოვლენების აღმოსაფხვრელად განხორციელებული პროექტებიდან სახელდება მხოლოდ გაბიონებისა და ჯებირების მოწყობა და ხიდების აღდგენა.

7. ინდუსტრია/წარმოება

მუნიციპალიტეტში წარმოება ცუდადაა განვითარებული. სამუშაო ჯგუფი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს მცირე საწარმოები, კერძოდ, ხილის გადამამუშავებელი, ქვიშა-ხრემის და სამშენებლო მასალების წარმოების მცირე ობიექტები. მათივე ცნობით, არც ერთ მათგანში არ არის დამონტაჟებული წყლის მრიცხველები, წყლის ცირკულაცია არც ერთ საწარმოში არ ხდება.

მუნიციპალიტეტის გამგეობა არ ფლობს ინფორმაციას, თუ რამდენად იყენებენ საწარმოები ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს, ან როგორ ხდება საწარმოებში ნარჩენების მართვა.

8. ნარჩენების მართვა

ვანის მუნიციპალიტეტში არსებობს ნარჩენების მართვის სამსახური, რომლის მოვალეობაა ნარჩენების შეგროვება, ნარჩენების მოცულობის აღრიცხვა და ნარჩენების განთავსება. მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება ხდება მხოლოდ ქ.ვანში. გამოკითხულთა მონაცემებით, საშუალოდ წლიურად 1500კუბ.მ. ნარჩენების შეგროვება

ხდება, თვლიან, რომ ბოლო ათწლეულში ეს ციფრი ყოველწლიურად იზრდება 40 კუბ.მ.–ით. ამასთან, მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით მოხდა 2 სპეცმანქანისა და 85 ცალი 1 კუბ.მ. მოცულობის ბუნკერის შექმნა. გამგეობისთვის ნარჩენების შემადგენლობა ცნობილი არ არის. არც იმის მონაცემები აქვთ, რა რაოდენობის ნარჩენის წარმოქმნა ხდება რეალურად.

შეხვედრის მონაწილეების ცნობით, მუნიციპალიტეტს სანიტარული ნაგავსაყრელი არ აქვს, შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება ქ.სამტრედიის ნაგავსაყრელზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სოფლებში, მრავლადაა მცირე ფართობის არალეგალური ნაგავსაყრელები, თუმცა მათი რაოდენობის სესახებ ჯგუფის წევრებს ინფორმაცია არ გააჩნიათ.

გადამუშავებადი ნარჩენებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ჯართის შემგროვებელი პუნქტები, თუმცა გამგეობისთვის უცნობია მათი რაოდენობაც.

9. გენდერი

გამოკითხულთათვის სიახლე იყო განხილული პრობლემების გენდერულ ჭრილში დანახვა. დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით დისკუსია ოჯახურ ჭრილში წარიმართა.

მონაწილეები თვლიან, რომ სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის შემცირება თანაბრად აისახება ოჯახის ყველა წევრზე. წყლის დეფიციტი ქალს შეუქმნის მეტ პრობლემებს ოჯახში, ხოლო ტყის რესურსების შემცირება მამაკაცს.

რაც შეეხება კლიმატის ცვლილებების გავლენას, თვლიან, რომ ქალი უფრო მგრძობიარე იქნება მის მიმართ.

10. ადგილობრივი მმართველობა

ვანის მუნიციპალიტეტში არ იცნობენ მეორე ეროვნულ შეტყობინებას კლიმატურ ცვლილებებზე, თუმცა ზოგიერთი მათგანი აცხადებს, რომ ამ საკითხზე მონაწილეობა მიუღიათ „საქართველოს მწვანეები–დედამიწის მეგობრები“-ის მიერ ჩატარებულ სემინარში.

სამუშაო ჯგუფის მიერ, კლიმატის ცვლილების მიმართ მუნიციპალიტეტის მოწყვლადობის მიზეზად სახელდება სოფლის მეურნეობის განვითარების შეფერხება და ახალი კულტურებისა და ტექნოლოგიების არარსებობა.

მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იგეგმება და ხორციელდება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროექტები. ამასთან, ფერმერებისათვის შეიქმნა საკონსულტაციო მომსახურების ცენტრი. ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოხდა ფერმერების ინფორმირება ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ, როგორცაა, აგროქიმიკატების გამოყენების, ნაკელის მართვის და ა.შ. თანამედროვე მეთოდები. ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეიქმნა მექანიზაციის ცენტრი, ამხანაგობა „ვანი“.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებების შესარბილებლად საჭიროდ მიაჩნიათ საირიგაციო სისტემების მოწყობა, ტყეების ჭრის შემცირება და ნაპირსამაგრების გაკეთება.

11. დასკვნები და რეკომენდაციები

ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებებისადმი შეიძლება დავუკავშიროთ შემდეგ საკითხებს:

ბუნებრივი საფრთხეები - ვანის მუნიციპალიტეტისათვის ბუნებრივი საფრთხეებიდან სახასიათოა: ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, მდინარის ნაპირების ეროზია და გვალვა. მათივე ინფორმაციით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, გაძლიერებული და გახშირებულია ძლიერი ქარი, მდინარეების ნაპირების წარცხვა და გვალვა. მუნიციპალიტეტის მიერ არ იწარმოება რაიმე სახის სტატისტიკა ბუნებრივი კატასტროფების ზონაში მოხვედრილი ტერიტორიების, მოსახლეობის და ინფრასტრუქტურის შესახებ. შესაბამისად არ აქვთ მონაცემები მიყენებული ზიანისა და ანაზღაურებული ზარალის შესახებ.

სოფლის მეურნეობა - მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირისა სოფლის მეურნეობა ვანის მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა. მუნიციპალიტეტში არსებული პირობები უფრო მეტად მეცხოველეობის განვითარებისთვისაა ხელსაყრელი, ვიდრე მემცენარეობისთვის.

მემცენარეობის დარგის მნიშვნელოვანი გამოწვევებია მეურნეობის არაეფექტური წარმართვა და საირიგაციო სისტემების არარსებობა. როგორც ჩანს, უკანასკნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მომატებული გვალვიანობის გამო.

დღეის მდგომარეობით მეცხოველეობის დარგის ძირითადი გამოწვევა სათიბ-სამოვრების გადამოვება. თუმცა, როგორც შინაური პირუტყვის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია გვიჩვენებს, მუნიციპალიტეტში არსებული სამოვრები არასაკმარისია ამ დარგის მდგრადი განვითარებისთვის.

მუნიციპალიტეტში ცუდადაა განვითარებული სოფლის მეურნეობის სამსახური, რომელიც შესძლებდა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

ტყის რესურსები - ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ მმართველობას არ აქვს ინფორმაცია ტყის რესურსის შესახებ. ტყის რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებია ტყის ჭრა, მათ შორის უკანონო და ქარსაცავი ზოლების მნიშვნელოვანი შემცირება 1990-იანი წლების შემდეგ. ამასთან, ტყეების აღდგენა-განაშენიანება პრაქტიკულად არ ხდება. ტყის ჭრა ბუნებრივი საფრთხეების მომატების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს.

წყლის რესურსები და წყალმომარაგება - ვანის მუნიციპალიტეტში უხვადაა წყლის რესურსი; წყლის რესურსის და მისი ხარისხის მონიტორინგი არ ხდება. მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლების მოსაზრებით, მდინარეთა ჰიდროლოგიური მაჩვენებლები შეიცვალა, კერძოდ შემცირდა მდინარეთა საშუალო წლიური ჩამონადენი და გაიზარდა მდინარის ჩამონადენი წყალდიდობისას; თუმცა, ამისი ობიექტური მტკიცებულება არ გააჩნიათ.

მუნიციპალიტეტში არსებული წყლის რესურსი საკმარისია არსებული მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად. ზედაპირული წყლები პრაქტიკულად გამოუყენებელია, მოსახლეობის წყალმომარაგება ძირითადად მიწისქვეშა წყლებზეა დაფუძნებული. სამუშაო ჯგუფის მონაცემებით, სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარდა მიწისქვეშა წყლების (ჭების) გამოკვლევა და დააფიქსირა ბაქტერიოლოგიური დაბინძურების შემთხვევები. მიზეზად კი სანიტარული ზონების დაუცველობა დასახელდა.

მუნიციპალიტეტის დასახლებებს არ გააჩნია ჩამდინარე წყლების შემკრებ-გამწმენდი ნაგებობები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს წყლის რესურსების დაბინძურება.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები - მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტებიდან კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის კონტექსტში შეიძლება დასახელდეს: წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, ფერმერების ინფორმირება ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ, როგორცაა ირიგაციის, აგროქიმიკატების გამოყენების, ნაკელის მართვის და მეურნეობის გაძლიერების სხვა თანამედროვე მეთოდები, მცენარეების/ცხოველების მაღალპროდუქტიული სახეობების შეტანა, ფერმერებისათვის საკონსულტაციო ცენტრის შექმნა, ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.

თუმცა, როგორც ჩანს, ეს ზომები არასაკმარისია, რადგანაც ვერ პასუხობს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარ გამოწვევებს,

როგორც წესი, მუნიციპალიტეტის გამგეობას არასრული ინფორმაცია გააჩნია ისეთი საკითხების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის სენსიტიურობა კლიმატის ცვლილების მიმართ და როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფები, სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები და წყალმომარაგება, ტყის რესურსები. ეს ზღუდავს მათ შესაძლებლობას გაანალიზონ მოსალოდნელი საფრთხეები, ასევე დაგეგმონ და განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები.

რეკომენდაციები

კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებისთვის მუნიციპალიტეტში რეკომენდირებულია შემდეგი ზომების გატარება:

- ქარსაცავი ზოლების აღდგენა, რაც შეამცირებს ნიადაგის ეროზიის პოტენციალს და ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას მაღალი სიციხეებისას.
- სატყეო მეურნეობასთან ერთად ტყის აღდგენა-განაშენიანების სტრატეგიის მომზადება, რაც ხელს შეუწყობს მეწყრული მოვლენების გაკონტროლებას, ასევე გარკვეულწილად დაარეგულირებს ზედაპირულ ჩამონადენს და შეამცირებს წყალდიდობით მიყენებულ ზიანს.
- სათიბ-სადოვრების ეროზიის პრევენცია, რისთვისაც რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება. უპირველეს ყოვლისა სასურველია დადგინდეს და შეძლებისდაგვარად დაცული იქნას პირუტყვის ძოვების ნორმები კონკრეტული სადოვრებისთვის. ამას გარდა, სასურველია დაინერგოს მონაცვლეობითი ძოვება, დადგინდეს და საჭიროების შემთხვევაში შეიზღუდოს შემოყვანილი პირუტყვის სულადობა, მეცხოველეები გადავიდნენ ნაწილობრივ ბაგურ კვებაზე (რაც მათ წველადობაზეც აისახება).
- სარწყავი სისტემის მოწყობის პროექტების შემუშავება- განხორციელება.
- მდინარის კალაპოტის მართვის მეთოდების შეფასება, რათა დადგინდეს თუ რომელი მეთოდებია უფრო ეფექტური მოსალოდნელი კატასტროფების რისკების შესამცირებლად.
- მდინარეებიდან მოპოვებული ინერტული მასალის მოცულობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, მდინარის ნაპირების ეროზიის, კალაპოტის დახრამვის და მაღალი რისკის უბნების დაფიქსირება, ამ ინფორმაციის წარდგენა ინერტული მასალის მოპოვებაზე ლიცენზიის გამცემ ორგანოში, რათა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედოს ინერტული მასალის არსებული რესურსი და დარეგულირდეს მოპოვების მოცულობა.
- მონაცემთა ბაზის წარმოება ბუნებრივი საფრთხეების და მათ მიერ მიყენებული ზარალის, სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსების, ტყის რესურსების და ნარჩენების მართვის შესახებ, რათა არსებობდეს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების სრული სურათი და შესაძლებელი იყოს ამ გამოწვევების საპასუხო საქმიანობის დაგეგმვა.